ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №62-79

2025 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 08/04/2015, სარეგისტრაციო კოდი: 410080000.35.101.016141) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 მუხლი:

„მუხლი 11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანა

1. ამ მუხლით განსაზღვრული წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველზე.

2. კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველს უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე, ამ მუხლით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

3. ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები).

4. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ დადგენილებით განსაზღვრული მოვლა-პატრონობის წესის დაცვის შემოწმების მიზნით განაცხადებს წერილობით თანხმობას უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის პერიოდულად გადამოწმებაზე.

5. სპეციალური ადგილიდან ცხოველის ჩუქებით გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების გატარების შემდეგ, ცხოველი 10 დღის ვადაში არ გაჩუქდება, უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ წესით დადგენილ სხვა ღონისძიებებს.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეჩერდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებამდე, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი გაასაჩივრებს მის მიმართ გამოცემულ საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**